

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N82-ის მიმდებარედ არსებულ ანგარის ტიპის ლითონის კონსტრუქციისა და მასზე მიმაგრებული 2400 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით გაქირავებაზე

გამქირავებელი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

დასახელება -ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N82-ის მიმდებარედ არსებულ ანგარის ტიპის ლითონის კონსტრუქციისა და მასზე მიმაგრებულ 2400 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი - 27.06.52.144).

სარგებლობის ფორმა - ქირავნობა

ქირავნობის ვადა – 25 (ოცდახუთი) წელი

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი – სარგებლობის უფლება მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამქირავებელს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

განცხადების მიღების ვადა - 2014 წლის 15 მაისის 10:00 საათიდან 2014 წლის 16 ივნისის 10:00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღი– 2014 წლის 16 ივნისი 16:00 საათი

აუქციონის ჩატარების ადგილი – ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N№37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართული;

საწყისი წლიური ქირის ოდენობა– 1844,4 ლარი.

„ბე“– რომლის ოდენობაც შეადგენს ქონების საწყისი წლიური ქირის ოდენობის 30%-ს- 557 ლარი;

აუქციონის ბიჯი - 184 ლარი

მონაწილის **ბილეთის ფასი** - 10 ლარი

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი - ს.ს. პრივატ ბანკი ანგ. [№№GE64TP0033030020000011. ს/კ - 233730139.](#)

განაცხადის მიღების ადგილი (მისამართი), ტელეფონი - ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N№37 ; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართული; საკონტაქტო პირის ტელ: (591) 32 41 41–რომან ბიწაძე;

კომისიისადმი წარსადგენი დოკუმენტაცია -

ა) განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების დასახელებას, ქონების საწყისი წლიური ქირის ოდენობას, რომლის დაქირავებაც სურს მონაწილეს, მონაწილის თანხმობა პირობების შესრულებაზე;

ბ) „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (ბილეთის და „ბე“-ს საფასურის გადახდა უნდა მოხდეს გამქირავებლის მიერ მითითებულ ანგარიშზე);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

თანხის გადახდის პირობები - უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ან „ბე“- 557 ლარი, მონაწილის ბილეთი - 10 ლარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს საჯარო აუქციონზე განაცხადის წარდგენამდე.

ქირავნობის თანხის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ყოველკვარტალურად; აუქციონის დამატებითი პირობები:

1. აუქციონში გამოტანილი ობიექტის დამქირავებელი ვალდებულია დაქირავებულ ქონებაზე ნებისმიერი სახის ობიექტისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა ყველა ეტაპზე განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების დაცვით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით.
2. ქონების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან არა უგვიანეს 1 თვისა.
3. დამქირავებელი ვალდებულია, დაქირავებული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათ შესრულებაზე გამქირავებლის მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია გამქირავებელს.
4. დამქირავებლის მიერ ქონების გაქირავების შესახებ (ქვექირავნობა) წინასწარ წერილობით უნდა ეცნობოს ქონების მესაკუთრეს.
5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამქირავებლის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.